

494-35

07-303

საქართველოს მეცნიერებათა აკად. გ.წერეთლის
სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

ლილე თანდილავა

თურქული ლექსიკური ერთეულები ლაზურში

10.02.06 – თურქული ენები

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაცია

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2004

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის თურქოლოგიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელები: – ფილოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. ნოდარ ჯანაშვილ
ფილოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. ნათელა ქუთელია

ოფიციალური ოპონენტები –

ფილოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. მარიამ ჯიქია
ფილოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. მიხეილ ქურდიანი

დისერტაციის დაცვა გაიმართება 2004 წლის 16 მაისს 14⁰⁰.
საათზე
გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის
ინსტიტუტის
8 10.06 № 9 სადირსეტაციო საბჭოს სხდომაზე (მისამართი:
0162, თბილისი გიორგი წერეთლის ქუჩა № 3).

დისერტაციის გაცნობა შეიძლება გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (გ.წერეთლის ქუჩა, № 3).

სადირსერტაციო საბჭოს სწავლული
მდივანი ფილოლოგის მეცნიერებათა
კანდიდატი

რ. 13.102

დარეჯან სვანი

ნაშრომის მოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. შრომა ეძღვნება თურქული ენიდან ლაბურში შემოსული ლექსიკური ელემენტების შესწავლას. ლაბური და თურქული ენების ლექსიკური ურთიერთობის კვლევას გარკვეული ზოგადენათმეცნიერული ინტერესიც ახლავს სესხების პრობლემის თვალსაზრისით. თურქულიდან შეთვისებული სიტყვები ლაბურში სხვადასხვა დროის არიან და მომდინარეობენ სხვადასხვა დიალექტიკური წრიდან. თურქული წარმოშობის ლექსიკური ელემენტების შესწავლას ლაბურში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება თვით თურქული ენების ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. თურქული ლექსიკის დამკვიდრება ლაბურში, მართალია, თურქ-ოს-მალთა ექსპანსიით არის განპირობებული, მაგრამ თურქულ ენებზე და დიალექტებზე მეტყველი მოსახლეობის მეზობლობა გაცილებით უფრო ძრულია, ვიღრე კონსტანტინოპოლის აღება (1453 წ.), არც თურქ-ოსმალთა მიერ ტრაპიზონის იმპერიის დამხობის (1461 წ.) შემდეგ არის სავარაუდო თრუქული ლექსიკის ინტენსიური შემოსვლა. თურქები უფრო ადრე მოვიდნენ ამ რეგიონში, როგორც მშვიდობიანი მოსახლეობა. ამდენად, სრულიად აუცილებელი გახდა იმ ექსტრა-ლინგვისტური მიზეზების გამოვლენა და გათვალისწინება, რომლებმაც ხელი შეუწყო თურქული წარმომავლობის ლექსიკის დამკვიდრებას ლაბურში.

კვლევის მიზანი და ობიექტი: შრომის მიზანია გამოავლინოს ლაბურში დამკვიდრებული თურქული ლექსიკის ელემენტები, განსაზღვროს ლექსემათა შემოსვლის გზები, დრო და დინამიკა. დაადგინოს ამ ლექსემათა ხარისხი და სფაბილურობა. შეძლებისდაგვარად სრულად წარმოაჩინოს ნასესხები ლექსიკის ფორმათა ვარიაციები არა მხოლოდ თურქულ-ოსმალური ფორმებით, არამედ სხვა თურქულ ენათა და დიალექტთა გათვალისწინებით, რაც საშუალებას მოგვცემს სიტყვათა სესხების პროცესი წარმოვაჩინოთ მსესხებელი ენის მატარებელი ხალხის ისტორიული ტრადიციის გათვალისწინებით.

კვლევის მეთოდები: სადისერტაციო ნაშრომში დასმული პრობლემების კვლევის დროს სათანადო იქნა გამოყენებული აღწერითი, შედარებითი და ისტორიული მეთოდები.